თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო

საშუალებების დგომის და საგზაო ნიშნების განთავსებისათვის

ადგილების განმსაზღვრელი დროებითი

სამუშაო ჯგუფის

ოქმი№3

ქ. თელავი 2018 წლის 13 ივნისი

თავმჯდომარებდა დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

ესწრებოდნენ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები: გიგა ორკოდაშვილი, ტიტე დარეჯანიშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, გიორგი ჩაბრაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს სახაზო საპატრულო სამსახურის უფროსი ირაკლი ლილუაშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თელავი ჩემი ქალაქია''-ს წევრი პეტრე კაკუნაშვილი, ფირმა ,,ნიკა''-ს დირექტორი მგზავრთა ორგანიზებული გადამზიდავი ნიკოლოზ ჭინჭარაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი დავით ქსოვრელიშვილი, მოქალაქე ნიკოლოზ ვარდოშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები: ლევანი ლილუაშვილი, ნანა ხვისტანი, მაია მარკოზაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპარკინგე ადგილების გამოყოფის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საპარკინგე ადგილების გამოყოფის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ. ღაღანიძემ აღნიშნა რომ თელავის მუნიციპალიტეტში პარკირებასთან დაკავშირებით წარმოიშვა გაკრკვეული პრობლემები, კერძოდ თბილისის ტაქსების გაჩერებასთან, აღნიშნულ ტერიტორიაზე ტაქსების გაჩერება მოქალაქეთათვის საფრთხის შემცველია და უნდა გატარდეს შესაბამისი ზომები, რაზეც დ. ქსოვრელიშვილმა განმარტა, რომ ადგილი დარეგისტრირებულია გზად, რომლის გადაკეტვა ხდება თბილისის ტაქსების მიერ.

გ.ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია საზოგადოების კონკრეტულ ჯგუთან შეხვედრა, რომელთა კერძო საკუთრების მიმდებარედ მდებარეობს ტაქსების გაჩერებასთან არსებული შენობა-ნაგებობები.

დ. ღაღანიძემ განაცხადა, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ მიზანშეწონილია ასევე შესწავლილ იქნას ქალაქში არსებული სხვა საპარკინგე ადგილების გამოყოფის საკითხიც, რაზეც დაეთანხმნენ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები.

გადაწყვიტეს: განხორციელდეს ქალაქში დარეგისტრირებული პარკირების ადგილების შესწავლა მათზე არსებული ამკრძალავი ნიშნების მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში დაისვას საკითხი ახალი საპარკინგე ადგილების გამოყოფის შესახებ.

დროებითი სამუშაო
ჯგუფის თავმჯდომარე: დ.ღაღანიძე